სსიპ გორის მუნიციპალიტეტის
სოფელ ატენის საჯარო სკოლა

LEPL- Gori Municipality
Village Ateni Public School

10/12/2025

MES 6 25 0001757301

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების მიზნით გიგზავნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშს.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო სკოლის 2025 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიში:

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 0 (ნული) განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში არ შემოსულა მოთხოვნა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) დაკმაყოფილდა 0 (ნული) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე არ შემოსულა მოთხოვნა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე არ შემოსულა მოთხოვნა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე არ შემოსულა მოთხოვნა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეტანილ არ ყოფილა და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

პატივისცემით,

შიდა ქართლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო
სკოლა
დირექტორი
ონიაშვილი ნინო